NRG GEORGIA
electric cable manufacturing
ენერჯი ჯორჯია
ელექტრო კაბელების წარმოება

NRG GEORGIA LTD
40 Shartava Street, 0160 , Tbilisi, Georgia
Tel : +995 322 30 60 03
E-mail : info@nrg.ge
www.nrg.ge

სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტო"-ს უფროსს

ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

NRG №131 14-09-2022

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ქვემო ალექსეევკას დასახლებაში შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია" (ს/კ: 405076359) აწარმოებს ელექტროკაბელებსა და პლასტიკური მასალის პოლივინილქლორიდის გრანულებს (ნაკვეთის საკ.კოდი: 01.19.24.007.359). საწარმოს ტერიტორიის ფართობი შეადგენს 31551კვ/მ-ს.

აღნიშნული საქმიანობა, მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართის 6.2 ქვეპუნქტით (ფარმაცევტული პროდუქტების, საღებავების, ლაქების, პეროქსიდის, ელასტომერის ან/და პლასტიკური მასალის წარმოება) გათვალისწინებულ საქმიანობას და შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

მიმდინარე წლის 1 ივლისს (№2845) შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია"-ს მიერ სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტო"-ში სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით წარმოდგენილ იქნა „ქ. თბილისში, ქვემო ალექსეევკას დასახლებაში, არსებულ სპილენძისა და ალუმინის ელექტროკაბელების საწარმოში, პლასტიკური მასალის (პოლივინილქლორიდის გრანულები) წარმოების პროექტი"-ს სკრინინგის ანგარიში.

მიმდინარე წლის 12 ივლისის N 21/3313 წერილით განსაზღვრული შენიშვნის საფუძველზე, სააგენტომ აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით დროებით შეაჩერა ადმინისტრაციული წარმოება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ სააგენტოს 12 ივლისის N 21/3313 წერილის მოთხოვნის შესაბამისად განახლებულ სკრინინგის ანგარიშს.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ სკრინინგის გადაწყვეტილება.

წერილს თან ერთვის:

- სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია - 1 ეგზემპლარი;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - ელ. ვერსია;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ.

პატივისცემით,

შპს „ენ-ერ-ჯი ჯორჯია"-ს დირექტორი

მამია მოცრაძე

მ. [signature]

NRG GEORGIA "NRG GEORGIA" LTD 405076359

ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
15 09 2022 წ.
№ 4879